საიდ. №71911/03

IR 631653

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №129-03/14

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპა-ტენტთან“ არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ შემდეგი შემადგენლობით: მ. ფრუიძე (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ლ. კერესელიძე, თ. ჯაფარიძის მდივნობით განიხილა კომპანიის „ბოერინგერ ინგელჰეიმ ფარმა გმბჰ & კო. კგ” (Boehringer Ingelheim Pharma GmbH & Co. KG) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №129-03/14), რომლითაც მოითხოვება სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის” სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 02 ივნისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1434/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Беротек” (საიდ. №71911/03 IR 631653) დაცვის მინიჭება საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ (მე-5 კლასი).

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 02 ივნისის №1434/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "Беротек" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია კომპანიის ,,კ.ჰ. ბოერინგერ ზონ“ (მისამართი: ბინგერ შტრასე 148, 6507 ინგელჰაიმი; DE), სახელზე მე-5 კლასის მსგავსი საქონლისათვის საქართველოში რეგისტრირებული ნიშნისა „BEROTEC“ (რეგისტრაციის №3474, რეგისტრაციის თარიღი 03.10.1996). ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი ნიშანი შესრულებულია კირილიცით, ხოლო დაპირისპირებული ნიშანი ლათინური ანბანით, მათ აქვთ აღრევამდე მსგავსი ჟღერადობა, რაც ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად, მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები, წარმოდგენილი დოკუმენტები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

აპელანტი კომპანია „ბოერინგერ ინგელჰეიმ ფარმა გმბჰ & კო. კგ” არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, კომპანია „ბოერინგერ ინგელჰეიმ ფარმა გმბჰ & კო. კგ“ და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „,კ.ჰ. ბოერინგერ ზონ“ მიეკუთვნებიან „ბოერინგერის“ ჯგუფის კომპანიათა ჯგუფს და წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს. რის დასტურადაც, სააპელაციო საჩივარს თან ერთვის, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის მიერ გაცემული თანხმობის წერილი, სადაც აღნიშნულია რომ დაპირისპირებული

სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია „კ.ჰ. ბოერინგერ ზონ აგ & კო. კგ“ თანახმაა, აპელანტი კომპანიის სახელზე სასაქონლო ნიშნის „Беротек“ (IR 631653) რეგისტრაციასა და გამოყენებაზე საქართველოში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 02 ივნისის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №1434/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Беротек” (საიდ. №71911/03 IR 631653) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა”.

კოლეგიამ მხედველობაში მიიღო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანიის „კ.ჰ. ბოერინგერ ზონ აგ & კო. კგ“ (C.H. BOEHRINGER SOHN AG & CO. KG) (მის: Binger Strasse 148, 6507 Ingelheim, Germany) მიერ გაცემული თანხმობის წერილი, რომლის თანახმად, დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია, „კ.ჰ. ბოერინგერ ზონ აგ & კო. კგ“ აცხადებს თანხმობას, საერთაშორისო სასაქონლო ნიშნის „Беротек” (საიდ. №71911/03 IR 631653) დაცვასა და გამოყენებაზე საქართველოში აპელანტი კომპანიის „ბოერინგერ ინგელჰეიმ ფარმა გმბჰ & კო. კგ” სახელზე მე-5 კლასის საქონლის განცხადებული ჩამონათვლის მიმართ. ამავე თანხმობის წერილში ასევე, მითითებულია, რომ

დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნის მფლობელი კომპანია და აპელანტი კომპანია წარმოადგენენ მონათესავე კომპანიებს. კოლეგია თვლის, რომ ვინაიდან, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები ეკუთვნის მონათესავე კომპანიებს, შესაბამისად, არ მოხდება სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Беротек" (საიდ. №71911/03 IR 631653) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის კანონით გათვალისწინებულ საფუძველს.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. კომპანიის „ბოერინგერ ინგელჰეიმ ფარმა გმბჰ & კო. კგ" (Boehringer Ingelheim Pharma GmbH & Co. KG) სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 02 ივნისის №1434/03 ბრძანება საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „Беротек" (საიდ. №71911/03 IR 631653) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ.

3. საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს „Беротек” (საიდ. №71911/03 IR 631653) მიენიჭოს დაცვა საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

4. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: მ. ფრუიძე

წევრები: ლ. კერესელიძე

ს. დუმბაძე